

ნატო-საქართველოს ურთიერთობები

საქართველო ნატოში გაწევრიანების ასპირანტი ქვეყანაა. მას აქტიური წვლილი შეაქვს ნატოს ეგიდით წარმართულ ოპერაციებში და თანამშრომლობას ეწევა ალიანსის წევრ და დანარჩენ პარტნიორ ქვეყნებთან ბევრ სხვა სფეროში. 2008 წლის აპრილში გამართულ ბუქარესტის სამიტზე ალიანსის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შემდგომში ნატოს მომდევნო სამიტებზეც დადასტურდა 2009, 2010, 2012 და 2014 წლებში.

ნატო-საქართველოს კომისია (ნსკ) წარმოადგენს ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სტრუქტურას. 2008 წლის სექტემბერში შექმნილი ნსკ პოლიტიკური კონსულტაციების და პრაქტიკული თანამშრომლობის ფორუმის როლს ასრულებს საქართველოს ევრო-ატლანტური მისწრაფებების ხელშესაწყობად. თანამშრომლობის სხვადასხვა პროგრამები ნსკ-ს ფარგლებში ხორციელდება.

2008 წლის დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ნსკ ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) მეშვეობით. ევრო-ატლანტური მშვიდობის და სტაბილურობის საქმეში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილის პარალელურად ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის საკვანძო სფეროები მოიცავს პოლიტიკურ, სამხედრო და უსაფრთხოების სექტორების რეფორმებს. ნატომ თავს იდო ვალდებულება მხარი დაუჭიროს საქართველოს აღნიშნულ რეფორმებში მიზანმიმართული და ამომწურავი კონსულტაციების და აქტივობების მეშვეობით სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში (როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო) რეფორმების მიზნების მხარდასაჭერად.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი

2014 წელს უელსის სამიტზე ალიანსის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა დაამტკიცეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი. პაკეტი მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სისტემის და ნატოს ძალებთან მხარდამხარ მოქმედების უნარის გაძლიერებას. აღნიშნული მოიცავს კონსულტაციებსა და ტრენინგებს, ურთიერთქმედების გაზრდას, სახელმწიფოთაშორის წვრთნებს და ოპერატიული თავსებადობის გაზრდილ შესაძლებლობებს. ხსენებული ღონისძიებები დაეხმარება საქართველოს დაწინაურდეს ალიანსში გაწევრიანებისთვის მზადების პროცესში.

ერთერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა თბილისში 2015 წლის 27 აგვისტოს. ცენტრი ეხმარება საქართველოს საკუთარი უსაფრთხოების და თავდაცვის სექტორების რეფორმირებაში, მოდერნიზაციასა და გაძლიერებაში. ცენტრი ღია იქნება პარტნიორი ქვეყნებისთვისაც. იგი მსურველებს შესთავაზებს მრავალ-ეროვნულ სწავლებისა და წვრთნის შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს თანამშრომლობას საქართველოს, ნატოსა და დაინტერესებული პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის. რეგიონული ტრენინგის შესაძლებლობათა შეთავაზებით. ცენტრი აგრეთვე საკუთარ წვლილს შეიტანს რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობაში შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში. პირველი წვრთნები გაიმართა 2016 წლის გაზაფხულზე.

საქართველომ მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა ნატოს ოპერაციებსა და მისიებში სამაგალითო მონაწილეობის წყალობით. გარდა ამისა საქართველოს მრავალეროვნული წვრთნების მასპინძლობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. 2015 წლის ივლისში საქართველომ უმასპინძლა წვრთნებს „მებრძოლი სული“- 2015. მათში მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის, ლატვიის, ლიტვის და რუმინეთის შეიარაღებულმა ძალებმა. სომხეთს და მოლდოვას სამხედრო დამკვირვებლები წარმოადგენდნენ.

მონაწილეობა ნატოს ოპერაციებსა და მისიებში

საქართველოს სიდიდით მეორე წვლილი შეაქვს ნატოს ეგიდით წარმართულ ამჟამინდელ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ავღანეთში, რომელიც მიზნად ისახავს ავღანეთის ეროვნული თავდაცვის და უსაფრთხოების ძალებისათვის წვრთნის, კონსულტაციისა და დახმარების გაწევას. ამასთან ერთად საქართველოს მთავრობამ თავს იდო ავღანეთის ეროვნული თავდაცვის და უსაფრთხოების ძალების ხანგრძლივადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება. საქართველომ ნატოს არა-წევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა საკუთარი კონტიგენტის განთავსების მხრივ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალებში (ISAF), რომელიც დასრულდა 2014 წლის დეკემბერში.

საქართველო აგრეთვე მხარს უჭერს ნატოს კონტრ-ტერორისტულ საზღვაო სადაზვერვო ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა“ ხმელთაშუა ზღვაში. მან მონაწილეობა მიიღო ნატოს რეაგირების ძალების (NRF) 2015 წლის როტაციაში და ასევე შემდგომ წლებშიც NRF-ში მონაწილეობის ვალდებულება აიღო.

პარტნიორობის ინსტრუმენტების გამოყენება

საქართველო თანამშრომლობს ნატოსთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მთელ რიგ სფეროებში პროგრამის პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP) და ევრო-ატლანტური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში (ეაპს).

ნატო-საქართველოს კომისიის დაარსების პარალელურად შეიქმნა სამხედრო კომიტეტი საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობაზე ორიენტირებული შეხვედრების გასამართად. ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის მთავარი მიზანია საქართველოს დახმარება გაუწიოს სტრატეგიულ დაგეგმვაში, თავდაცვის რეფორმაში და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) სამხედრო და თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელებაში. საქართველოსთან სამხედრო კომიტეტის მუშაობა აგრეთვე ეხმარება ქვეყანას ოპერატიული თავსებადობის გაზრდაში ნატოს ეგიდით წარმართულ ოპერაციებში მონაწილეობის ხელშესაწყობად. საქართველოსთან სამხედრო კომიტეტის სამუშაო გეგმა განსაზღვრავს ნატოსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალთა შორის სამხედრო თანამშრომლობის ძირითად სფეროებს და ამოცანებს.

საქართველოს მონაწილეობა დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP) 1999 წლიდან დაეხმარა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ნატოსთან ურთიერთქმედებაში და ამასთან ერთად ქვეყანას სთავაზობს გეგმიურ ორიენტირებს, რომლებიც გადამწყვეტია უსაფრთხოების რეფორმის ამოცანების განსაზღვრისას მთელ რიგ სფეროში. ნატოს მხარდაჭერამ, მაგალითად, შეაძლებინა საქართველოს შეექმნა სამხედრო დანაყოფები, რომლებიც განთავსებისათვის

მზადყოფნაში არიან ნატოს სტანდარტების შესაბამისად და ალიანსის ძალებთან ოპერატიული თავსებადობა აქვთ.

საქართველოს თავდაცვის რეფორმის დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა ამოცანებმა ხელი შეუწყო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას თავდაცვის სამინისტროში, დაეხმარნენ ქვეყანას შეიარაღებული ძალების სადაზვერვო სტრუქტურის რეფორმირებაში და უზრუნველყვეს სანდო სტრატეგიული ანალიზის ჩატარება.

ერთერთი პრიორიტეტი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სფეროში იყო დემილიტარიზაციის და წვრთნის პროექტების მხარდაჭერა საქართველოში ნატო/PfP სატრასტო ფონდის მექანიზმის მეშვეობით. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას აძლევს ალიანსის ცალკეულ წევრ და პარტნიორ ქვეყნებს ნებაყოფლობით საწყისებზე ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ პარტნიორი ქვეყნების წამყვან პროექტებს.

წლების განმავლობაში სატრასტო ფონდის რიგმა პროექტებმა ხელი შეუწყო დასაწყობებული ჭარბი და მოძველებული იარაღით თუ საბრძოლო მასალებით გაჩენილი პრობლემების მოგვარებას და მათ უსაფრთხო განადგურებას. ამჟამად ჩეხეთის რესპუბლიკა და ლიტვა უძღვებიან საქართველო IV სატრასტო ფონდის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სოფელ სკრაში მდებარე საბრძოლო მასალების საწყობის აუფეთქებელი ნაღმების და საბრძოლო მასალებისაგან გასუფთავებას.

საქართველო ასევე მონაწილეობს კეთილსინდისიერების ამალღების პროგრამაში (BI), რომელიც შექმნილია პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად და კონსულტაციის უზრუნველსაყოფად კეთილსინდისიერების, ანგარიშგების და გამჭვივალობის გასაძლიერებლად თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში. საქართველომ კეთილსინდისიერების ამალღების პროგრამის არაერთი რეკომენდაცია განახორციელა და საკუთარ გამოცდილებას სხვა პარტნიორ ქვეყნებსაც უზიარებს.

წვრთნა და განათლება

სამხედრო განათლება და საბრძოლო მომზადება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის კიდევ ერთი საკვანძო ასპექტია. ნატოს ეგიდით საქართველოსთვის საგანგებოდ შექმნილი პროგრამა ხორციელდება - თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამა (DEEP) – რომელიც პროგრამის პარტნიორობა მშვიდობისთვის თავდაცვის აკადემიებისა და უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტების კონსორციუმის მხარდაჭერით ხორციელდება, საპარტნიორო საწვრთნელი და სასწავლო ცენტრების და ალიანსის ერთობლივი თავდაცვითი ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობით.

თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამა პირველ ყოვლისა საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. საქართველოში ფუნქციონირებს სამთო მომზადების ბაზა, რომელიც აკრედიტირებულია საპარტნიორო განათლებისა და საბრძოლო მომზადების ცენტრის სტატუსით და სთავაზობს სასწავლო კურსებს და წვრთნას ალიანსის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებს.

საქართველოს თხოვნის შესაბამისად 2008 წელს ნატომ და საქართველომ წამოიწყო პროფესიული განვითარების პროგრამა თავდაცვის სამინისტროს და უსაფრთხოების ინსტიტუტების

სამოქალაქო პერსონალისათვის საქართველოში. პროგრამა, რომელიც დაიწყო 2009 წელს, სთავაზობს მომზადებას დემოკრატიული მმართველობის და კონტროლის ამალგების მიზნით თავდაცვის სამინისტროში და უსაფრთხოების სექტორის სხვა ინსტიტუტებში. ამჟამად პრიორიტეტულია საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმის მხარდაჭერა და საქართველოს პოტენციალის გაზრდა უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო პერსონალის მომზადების უზრუნველყოფის მხრივ.

ბოლოს დავამატებთ, რომ საქართველოს ძალისხმევის მხარდასაჭერად რეფორმირების დარგში თბილისში 2010 წელს გაიხსნა ნატოს სამეკავშირეო ოფისი.

Public Diplomacy Division (PDD) – Press & Media Section

Tel.: +32(0)2 707 5041

E-mail: moc@hq.nato.int

Follow us [@natopress](https://twitter.com/natopress)

www.nato.int